წყლის ბილიკებზე





ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოცურავეებს „მძიმე“ დღეები დაუდგათ — სექტემბრის დასაწყისში გაიმართება საკავშირო ჩემპიონატი, ხოლო შემდეგ ყველაფერი ტოკიოს თამაშებისთვის სამზადისს დაეთმობა. ძვირფასია ყოველი დღე, ყოველი საათი!..

მომავალი სტარტებისთვის ენერგიულად ემზადება ევროპის რეკორდსმენი ზურგზე ცურვაში, 18 წლის მოსკოველი ვ. მაზანოვი (ქვედა სურათი). ახალგაზრდობის მიუხედავად, იგი საკმაოდ გამოცდილია — 14 წლისამ შეასრულა ოსტატის ნორმა.

მასზე ორი წლით უმცროსია თბილისელი მოსწავლე ზ. შილაკაძე (ზედა სურათი). ცხადია, მას ნაკლები გამოცდილება აქვს და მიღწევებით თავის მოსკოველ კოლეგას ჯერჯერობით ვერ შეედრება, მაგრამ, ყოველი ჯარისკაცი ფიქრობს გენერლად გახდომას . და შილაკაძეც ენერგიული წვრთნით ცდილობს მიზნის მიღწევას. იგი წარმატებით გამოდის მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში.

ფოტო და ტექსტი სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 158 (2521) ● ოთხშაბათი, 12 აგვისტო, 1964 წ. ● ფასი 3 კაპ.

მილოცვები, მისალმებანი, სურვილები...

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

ძვირფასო მეგობრებო!

„სრვეტსკი სპორტის“ რედაქციის კოლექტივი გულითადად ულოცავს თქვენს გაზეთს სახელოვან 20 წლისთავს და მის ყველა თანამშრომელს უსურვებს იყოს მარად ჭაბუკი, როგორც ქართული თამაში ლელო.

ფილატოვი

მოსკოვი.

ჩვენ მუდამ მეგობრული გრძნობით და პატივისცემით ვხედებით საქართველოს სპორტსმენთა ჩინებულ წარმატებებს საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზზე. ამ წარმატებებში დიდ როლს ასრულებდა და შეასრულებს გაზეთი „ლელო“ — საქართველოს სპორტსმენთა კომუნისტური სულისკვეთებით აღმზრდელი და სპორტული ოსტატობის პროპაგანდისტი. გაზეთის 20 წლისთავის დღეს გულითად სალამს ვუძღვნით მის ავტორთა დიდ კოლექტივს და ყველა მკითხველს. გისურვებთ მომავალშიც სპორტულ დაჟინებას და სიბეჯითეს კომუნიზმის ფინიშის მისაღწევად.

გაზეთ „სპორტსის“ რედაქციის სახელით,

სკუინში

რიგა.

რეკორდები და საპრიზო ადგილები

ლვოვი, (ჩვენი სპეც. კორ.). დაიწყო ცურვის სპორტული სეზონის საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ამავე დროს იყო „ბაკომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის [illegible] თამაშების მეორე ეტაპი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თბილისს ნორჩი დინამოელები ვერ მოიგებენ საუკეთესოთა ოცეულში და ფინალის მიღმა დარჩნენ. წელს [illegible] მათ 150 კოლექტივიდან XII ადგილი დაისაკუთრეს.

პირად ასპარეზობაში გამოირჩეოდნენ ა. იოაკიმიდი, რომელმაც 100 მ ჭაბუკთა კომპლექსურ ცურვაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი (5.24,4) დაამყარა და მეორე ადგილი მოიპოვა. ასევეე [illegible]ა [illegible]ბ ნ. ჭომბაძის [illegible]ოსულაც. ამ გოგონამ 100 მ დისტანცია ზურგზე ცურვით 1.15,7-ი დაფარა, მეორე იყო ფინიშზე და რესპუბლიკური რეკორდიც [illegible]ა.

[illegible] 50 მ ზურგზე ცურვაში— [illegible]4,8.

სპორტის ოსტატი ვ. ჩოლარია [illegible]ულ მანძილებზე გამოვიდა 200 მ [illegible]ასის სტილით (ვერ მოხვდა ფინალში), სამაგიეროდ ამავე სტილით [illegible] 0 მეტრზე ცურვაში მან მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ლ. იოაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



▲ **გდანსკი.** აქ დამთავრდა ოთხი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი. ბოლო შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს მასპინძლებს — პოლონელებს — 3:0 (15:6, 15:7, 15:8) და დაუმარცხებლად დაიკავეს I ადგილი. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: გდრ, პოლონეთი, რუმინეთი.

▲ **ნიუ-იორკი.** აქ გაიმართა ამერიკელი მძლეოსნების წინასაოლიმპიადო შერჩევითი შეჯიბრება. 100 და 200 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა ცხობილმა სპრინტერმა ქალმა ე. მაკ-გუაირმა — 11,3 და 23,4. ვ. უაიტი გადახტა 650 სმ. 3 სმ წააგო მასთან მ. უოტსონმა. აშშ-ის ახალი რეკორდი დაამყარა შუბის მტყორცნელმა რ. ბეიერმა — 53,65 მ.

▲ **პარიზი.** 16 წლის კრისტინ კარონმა ოლიმპიური თამაშების წინ კვლავ დაამტკიცა თავისი ბრწყინვალე სპორტული ფორმა. საფრანგეთის ჩემპიონატში მან გაიმარჯვა 100 მ ზურგზე ცურვაში — 1.08,7. ეს შედეგი მხოლოდ 0,1 წამით უარესია ამ ნიჭიერი მოცურავე ქალიშვილის მსოფლიო რეკორდზე.

▲ **ბონი.** ქვეყნის ჩემპიონატზე ვ. რეინჰარდტი ჭოკით გადახტა 505 სმ. კარგი შედეგი მოიპოვა ჰ. ჰოფმანმა. ეს ცნობილი მძლეოსანი ქალი სიგრძეზე გადახტა 633 სმ.

▲ *ბრაშოვი.* ბირთვის კვრაში რუმინეთის ახალი რეკორდი დამყარა ახალგაზრდა მძლეოსანმა ქალმა ა. სალადიანმა — 16,37 მ. სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ი. ბალაში გადაეცალა 185 სმ გადებულ თამასას.

▲ **ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქის ეროვნულ აუზში მარგიტის კუნძულზე გაიმართა მატჩი უნგრეთი — შვეიცია. ორი დღე ასპარეზობდნენ ამ ქვეყნების მოცურავენი და წყალში მხტომელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა: ცურვაში — 124:93, წყალში ხტომაში — 29:14. უნგრელმა ი. კატონამ დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი 1.500 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 17.30,0. ეს შედეგი 1,7 წამით უკეთესია ხეტიცის (გფრ) ძველ მიღწევაზე. ასპარეზობისას დამყარებულ იქნა ამ ქვეყნების რამდენიმე ეროვნული რეკორდი.

კანადა : „სან-ლორანი“

კანადაში დამთავრდა „სან-ლორანის“ ტრადიციული ველოსიპედი, რომელშიც როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბელგიელებმა.

პირად ჩათვლაში 1.566,7 მილი ყველაზე სწრაფად დაფარა ბელგიელმა ა. დენემ — 65:18.47. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლონელი ა. პალკა (65:19.55), მესამეზე — ბელგიელი ჟ. დელოხტი (65:20.05). საბჭოთა ველოსიპედისტებმა კულიბინმა (65:22.24) და კაპიტონოვმა (65:23.47) შესაბამისად დაიკავეს IV და VI ადგილები.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ბელგია — 195:54.24, პოლონეთი — 196:09.49, სსრ კავშირი — 196:13.13, ჰოლანდია — 196:24.51.



◆ **მინსკი,** 11 აგვისტო. **(ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).** დღეს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის VII ტურში შაგალოვიჩმა მოუგო ხოდოსს, ზახარიანმა — გაფრინდაშვილს, ბირბრაგერმა — ვორორემას, ნოსკოვმა — კრუტიხინს. ყაიმით დამთავრდა ვალიევ — მიკენასისა და ეტრუკ — გურგენიძის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

◆ *მოსკოვი, 11 აგვისტო. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე საინტერესო გამოდგა ვაჟთა წყვილების, გალეას თასის ძველი მეტოქეების — ა. მეტრეველ — ნ. მძინარაშვილისა და შ. კოუდელკა — ი. კოდეშის (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრა. ქართველმა სპორტსმენებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და მიაღწიეს გამარჯვებას — 6:3, 6:4, 1:6, 8:6. ქალთა ერთეულებს შორის მწვავე ბრძოლა გაიმართა მეოთხედფინალში გასვლისთვის. ტ. სოომემ (ესტონეთი) „იმსხვერპლა“ რუმინელი ე. როსეანუ — 6:3, 6:2. ტ. კიკინმ წააგო ო. ლენდოვასთან (ჩეხოსლოვაკია) — 4:6, 2:6, მ. კულმა — ჩინელ სიუი იუენ-ჯინთან — 4:6, 6:1, 3:6. მეოთხედფინალში გავიდა აგრეთვე კიეველი ვ. ტიტოვა, რომელმაც „მშრალი“ ანგარიშით (6:0, 6:0) მოუგო ი. შონსკაიას (ჩეხოსლოვაკია). მეორე უკრაინელი სპორტსმენი თ. ტარანოვა დამარცხდა ჰ. მაგდებურგთან (გდრ) — 4:6, 2:6.*

◆ **ოსლო,** 11 აგვისტო. უკანასკნელ ერთ კვირაში მეორე მარცხი განიცადა მსოფლიო რეკორდსმენმა შუბის ტყორცნაში, ნორვეგიელმა ტ. პედერსენმა. ჯერ იგი ლონდონის სტადიონ „უაიტ-სიტზე“ დამარცხდა, სადაც მას გაუსწრეს პოლონელმა ი. სიდლომ (83,75 მ) და ფრანგმა მ. მაკემ (78,92 მ). მეორედ პედერსენი ოსლოში დამარცხდა. ამჯერად მას „მშობლიურმა კედლებმაც“ ვერ უშველა. მისი მჯობნი კვლავ პოლონელი ვეტერანი სიდლო იყო, რომელმაც 7 სმ-ით უფრო შორს ტყორცნა შუბი. პედერსენის შედეგია 80,17 მ.

საბჭოთა ავტომობილისტთა წარმატება

პირველად მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენები ევროპულ ავტორალიში, რომელიც 3 ეტაპისგან შედგებოდა: „მონტე-კარლო“ — ევროპის გზებზე, „ჩრდილოეთის მზე“ — შვეციაში და „პოლონური რეიდი“ — პოლონეთში. ამ ავტორალიში 20-ზე მეტი ქვეყნის ავტომობილები ასპარეზობდნენ, რომელთა შორის იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საბჭოთა სპორტსმენები „ვოლგასა“ და „მოსკვიჩზე“ წარმატებით ეჯიბრებოდნენ დასავლეთის მანქანებს.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად საბჭოთა ავტომობილისტებს პოლონეთსა და შვეციაში, სადაც მათ შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

სამი ეტაპის ჯამში საბჭოთა სპორტსმენები II ადგილზე აღმოჩნდნენ, — წინ მხოლოდ შვეციის გამოცდილი გუნდი გაუშვეს. III-IV ადგილები გაიყვეს პოლონელებმა და ინგლისელებმა.

სპორტული მოედანი საველე ბანაკში

თესვისა და მოსავლის აღების პერიოდის საქმიანობის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული მუშაობის ორგანიზაციას საველე ბანაკში. აქ საჭიროა თუნდაც უმარტივესი სპორტული მოედნების მოწყობა.

როგორი უნდა იყოს სპორტული მოედნები? როგორ უნდა მოვაწყოთ ისინი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თხოვა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციამ ლენინური პრემიის ლაურეატს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. პოლიკარპოვს. სპეციალისტის რჩევას, რომელიც დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში", დღეს აქ ვაქვეყნებთ.

ნებისმიერ საველე ბანაკში ყოველთვისაა მოსახერხებელი თუნდაც მცირე სპორტული მოედნის მოწყობა, სადაც შეიძლება ითამაშო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ივარჯიშო საწონებისა და სხვა სიმძიმეების აწევაში, იჭიდავო, ივარჯიშო ღერძზე... მაყურებლებისთვის, აგრეთვე მოვარჯიშეთათვის კარგი იქნებოდა აქ დაგვედგა 2–3 უბრალო სკამი.

სურათზე ნაჩვენებია მცირე მოცულობის სპორტული მოედნის სქემა, რომლის ფართობი სულ 24×20 მ შეადგენს. იგი უნდა გავმართოთ ნებისმიერ სწორ ადგილზე. მისი მოწყობა უმჯობესია ისე, რომ მოედნის სიგრძივი ნაწილი გადაჭიმული იყოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ასეთ შემთხვევაში ჩამავალი მზის სხივები ფრენბურთის თამაშისას ხელს არ შეუშლის სპორტსმენებს. ეს მოსახერხებელია მაგიდის ჩოგბურთელებისთვისაც, ღერძზე მოვარჯიშეებისა და მაყურებლებისთვისაც.

ფრენბურთის მოედანზე (24×12 მ) შესაძლებელია აგრეთვე ბადმინტონის თამაშიც. აქ ვიხმართ ფრენბურთის ბადეს, რომელიც უნდა დამაგრდეს ორ ბოძზე (225 და 245 სანტიმეტრზე ფრენბურთის, ხოლო 155 სანტიმეტრზე— ბადმინტონის თამაშისას).

აშენეთ თქვენი ხელით!

სპორტული მოედნის შეღობვა, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება უბრალო მიწაყრილიანი თხრილით.

ფრენბურთის მოედანს უნდა ჰქონდეს თიხიანი მიწის მკვრივი ზედაპირი, რადგან ბალახზე სპორტსმენს იოლად უსლტება ფეხი (განსაკუთრებით საღამოს). ამისათვის ბალახიანი ნიადაგი ბელტებად უნდა დაიჭრას (40×25 სმ-დან 70×30 სმ-მდე ფართობით და 6-8 სმ სისქით), შემდეგ კი ეს ბელტები უნდა ამოვაბრუნოთ და მჭიდროდ დავალაგოთ, რათა არ გაჩნდეს პატარ-პატარა ორმოები. ამის შემდგომ ზედაპირი ფარცხით მოვასწოროთ და ქვების, მსხვილი ფესვების, ტოტებისა და სხვა სახიფათო საგნებისგან გავწმინდოთ.

თუ კი თიხნარი მიწა ახლო-მახლო არაა, მაშინ მოედანზე თხელ ფენად უნდა მოვაყაროთ შლამი (1 სმ სისქე) და ფარცხით შევურიოთ ბუნებრივ ნიადაგს. ამის შემდეგ ზედაპირი უნდა მოირწყას და, ბოლოს, კარგად დაიტკეპნოს (ხელის, ან მექანიზებული სატკეპნით).

ჭარბ თიხნარ ნიადაგზე აუცილებლად უნდა დავყაროთ ქვიშა, მოვრწყათ და დავტკეპნოთ.

მოედანი (ფართობი 4×4 მ) სიმძიმეთა აწევისთვის (საწონების, ქვების და სხვ.) საჭიროებს უაღრესად მკვრივ ნიადაგს. თუ ამგვარი მიწა ბუნებრივად არ არის, ნიადაგის გამკვრივება შეიძლება თიხის, თივისა და ქვიშის ერთმანეთში შერევით (როგორც ეს კეთდება კალოზე, როცა მოსავალს მარცვლავენ). მშრალი და ცხელი ამინდისას ასეთი ზედაპირი (ფენის სისქე— 5 სმ) იმდენად მკვრივია, რომ მიწაზე დაცემული 2-ფუთიანი საწონი იოტისოდენა კვალსაც არ ტოვებს. თუ კი სქელი ფიცრები გვაქვს, შეიძლება ხის ფიცარნაგის გაკეთება.

თვითნაკეთი შტანგის დამზადება შეიძლება 210-სანტიმეტრიანი ლითონის ღერძისგან (დიამეტრი 3 სმ) და საკოლმეურნეო სამჭედლოში ზოლებად დაჭრილი რკინით მოჭედილი 10 სმ სისქის ხის „თეფშებისგან" (დიამეტრი 24, 30, 35 და 40 სმ).

საჭიდაო ადგილი (5×5 მ) შეიძლება მოვწყოს ბალახიან მიწაზეც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბალახი მოითიბოს და მისი სიმაღლე არ აღემატებოდეს 4 სმ-ს, ან კარგად დაიტკეპნოს.



მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობა უნდა დამზადდეს ფიცრის გაშალაშინებული ნაჭრებისგან (მაგიდის ზომა 152×274 სმ, სიმაღლე — 76 სმ მიწიდან). სათამაშო კომპლექტები იყიდება მაღაზიაში.

ღერძის შეძენაც მაღაზიაში შეიძლება. თუ მისი გაკეთება გვსურს, უნდა ავიღოთ ლითონის გრძელი მრგვალი ღერო (სიგანე — 30 მმ, სიგრძე 2 მ). თვითნაკეთი ღერძი უნდა დამაგრდეს ორ ბოძზე, რომელთა სიმაღლეა 2,4 მეტრი მიწიდან.

საშუალო და დიდ სპორტულ მოედნებზე (სტაციონარულ საველე ბანაკებში) სასურველია აგრეთვე მოეწყოს მარტივი ატრაქციონები—საქანელა, ბოძი ცოცვისთვის, საყრდენებზე გადებული ბოძი წონასწორობაში შეჯიბრების ჩატარებისთვის და სხვ.







ნაკვეთი ნაკვეთი

ჩოხატაური

დამთავრდა რაიონის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 16 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩაისუბნისა და გოგოლეისუბნის კოლმეურნეობათა სპორტსმენები. მატჩი მოიგეს ჩაისუბნელებმა — 1:0.

(ჩვენი კორ.).

თელავი

საჭადრაკო კლუბ „ნადიკვარში" დამთავრდა საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც რაიონის 12 უძლიერესი მოთამაშე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ვანთელმა ჰ. კირვალიძემ (10,5 ქულა). გამარჯვებულს 0,5 ქულით ჩამორჩა თ. ხუგაშვილი.

მ. ფინკო

გაიმარჯვეს ენერგეტიკოსებმა

ტყვარჩელის ხელბურთელ ვაჟთა საქალაქო ტურნირში მონაწილეობდა 9 კოლექტივი.

შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ თბოელექტროსადგურისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის სპორტსმენები. საბოლოოდ მათ შორის პაექრობამ გადაწყვიტა კიდეც პირველობის ბედი. დასკვნით თამაშში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს ენერგეტიკოსებმა და მოიპოვეს I ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ხელბურთელთა შეჯიბრება აქ პირველად ჩატარდა. შეხვედრები მიმდინარეობდა ორგანიზებულად, მოწოდების სიმაღლეზე. იდგა მსაჯობა და, რაც მთავარია, ასპარეზობამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

ვ. ჯლარკავა

ტყვარჩელი.

ზედიზედ მეექვსედ!

ზუგდიდში გაიმართა რაიონის ფიზკულტურული და კომკავშირული აქტივის კრება, რომლის დღის წესრიგში იყო რაიონის მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მიმდინარეობისა და მომავალი ამოცანების საკითხი.

მოხსენებით გამოვიდა ზუგდიდის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე ჯ. გაფრინდაშვილი. მან აღნიშნა, რომ რაიონის 206 ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 22.182 კაცი. მიმდინარე წელს შეიქმნა 43 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სპორტული სექციები. კარგად მუშაობენ ფეხბურთის, ცხენოსნობის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა სექციები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელბურთში, ჭიდაობაში, ველოსპორტსა და სასტენდო სროლაში იშვიათად იმართება შეჯიბრებები და მონაწილეთა რაოდენობაც მცირეა.

გასულ წელს რაიონში პირველად ჩატარდა ქალთა სპარტაკიადა, რომელშიც 83 ფიზკულტურული კოლექტივის 341 წევრმა მიიღო მონაწილეობა. წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ ღონისძიებებში რაიონის მოსწავლე-სპორტსმენები სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი. და ეს მაშინ, როცა რაიონში არ არის ბავშვთა სპორტული სკოლა; ამის საჭიროება კი ძალზე დიდია.

კარგად მუშაობენ ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნოლოგიური ტექნიკუმის, პირველი სკოლა-ინტერნატის, ხობის, დარჩელის, რიყის საშუალო სკოლების, კახათის მარქსის სახელობის, რუხის სხულუხიას სახელობის, ჯიხასკარის კოლმეურნეობების, ჩაის საწნეხი ფაბრიკის, ჩაის პირველი ფაბრიკისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები. განსაკუთრებით ქების ღირსია ინგირის ჩაის საცდელი ფაბრიკა-მეურნეობის, ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და ჭკადუაშის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებსაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვთ.

შემდეგ მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მან თქვა, რომ ზოგიერთი ფიზკულტურული კოლექტივი ჯერ კიდევ ფორმალურად არსებობს, რაიონში იგრძნობა სპორტული ბაზების სიმცირე. კოლექტივთა უმრავლესობას არ გააჩნია კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები და მძლეოსნური სექტორები. შემთხვევით ხასიათს ატარებს ლექციური პროპაგანდა. ზოგ შემთხვევაში მოიკოჭლებს სპორტსმენთა შორის იდეურ-პოლიტიკური მომზადების საქმე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. ორსანტიის კოლმეურნეობის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ნაჭყებიამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარდა მოსწავლეთა ერთცვლიან სწავლებაზე გადასვლის საქმეში. ამაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მეურნეობას, რომელმაც თავისი სახსრებით ააგო ორსართულიანი სასკოლო შენობა. წელს განზრახულია სპორტული დარბაზის მშენებლობა, რაც კარგი საჩუქარი იქნება ორსანტიის ახალგაზრდობისთვის.

განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა რ. ბულიამ ილაპარაკა სკოლებში ფიზაღზრდის მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების ჩატარების დაბალ დონეზე და დააყენა საკითხი კადრების შესახებ. მან ხაზი გაუსვა რაიონში ბავშვთა სპორტული სკოლის ჩამოყალიბების აუცილებლობას, აგრეთვე სპორტის ჩამორჩენილი სახეობების (ხელბურთი, შვილდოსნობა, ცურვა) განვითარების საჭიროებას.

აქტივის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა ჭადრაკის განვითარების პერსპექტივებზე რაიონში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჭაკადუაშის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. გიგანი და „სპარტაკის" ზუგდიდის ზონალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭურღულია.

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ რაიონის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს გადასცა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. საინტერესოა, რომ 1958 წლიდან დაწყებული, რაიონის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გარდამავალი დროშა ზედიზედ მეექვსედ მოიპოვეს.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ი. ჩიქავა.

ერთსულოვნად იქნა მიღებული ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრების მიმართვა ზუგდიდის რაიონის ყველა ფიზკულტურულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებისადმი მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ა. ცეხანელი

(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.



ფოტოობიექტივი ადანაშაულებს...

ვერ იტყვი, რომ ყაზბეგის რაიონში სპორტი არ უყვარდეთ. პირიქით. აქაური ახალგაზრდობა ძალზე მოწადინებულია სისტემატურად იმეცადინოს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, გამოცადოს ძალა და უნარი ამბანაგურ თუ სარაიონო შეჯიბრებებში. კოლმეურნე-სპორტსმენებმა წელს რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებითაც. მაგალითად, სათხილამურო სპორტში პირველობა არავის დაუთმეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა.

ყაზბეგში უყვართ თავისუფალი ჭიდაობაც. ახლახან გამართულ რაიონულ ახპარეზობაში პირველობა სწორედ ყაზბეგელებმა მოიპოვეს.

ზაფხულში მოეწყო ალპინისტური ლაშქრობანი, რომლებშიც 20 კოლმეურნე მონაწილეობდა, ძალგან 9 ახალგაზდა მთასვლელი იყო.

ყოველივე ზემოთქმული ზედლის ერთი მხარეა. მეორე მხარე კი, სამწუხაროდ, იმაზე მოგვითხრობს, რომ სპორტული მოძრაობა ყაზბეგში მაინც არაა სისხლსავსე და ნაჩქეფარე. მთელი უბედურება იმაშია, რომ აქ სპორტული ღონისძიებები შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება. რაიონში რატომღაც სრულიად არ ექცევა ყურადღება სპორტის ისეთ სახეობას, როგორიცაა შვილდოსნობა.

ძალიან აძნელებს ფიზკულტურული საქმიანობის გაშლას სპორტული ბაზების ნაკლებობა. არსებული ბაზები კი უპატრონოდაა მიგდებული. ამაზე ნათლად მეტყველებენ აქ მოთავსებული ფოტოილუსტრაციები.

პირველ სურათზე აღბეჭდილია სარაიონო სპორტული დარბაზი (ბოდიში, მკითხველო, ამ სიტყვისთვის). აქ გამოსახული მდგომარეობა კომენტარს არ საჭიროებს...

მეორე სურათიც სპორტული დარბაზის თემატიკიდან არის მოტანილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტებს დ. ჩიხელსა და ი. ზევინს სპორტდარბაზი გარედან გადაუღიათ. ცოტაოდენი დროც და უამი და სტიქიონი თავისას იზამენ. არის შანსი, რომ დარბაზი ისტორიულ ძეგლთა ერთ-ერთ ნაირსახეობად—ნანგრევებად იქცეს.

რაზე მოგვითხრობს მესამე სურათი? ამ ადგილზე თურმე ოდესღაც (ზუსტი ქრონიკონი ვერ დადგინდა) საწყლოსნო აუზის აშენება გადაუწყვეტიათ. გაუჭრიათ კიდეც ორმო, მაგრამ „ენთუზიასტები" ამაზე შეჩერებულან და დღესაც „მშენებლობის" დაწყების პირველი დღის სადიდებლად ეს მომცრო ორმო დარჩენილა. ასეთი ბედი განა მარტო ე. წ. საცურაო აუზს ეწია! იგი ფეხბურთის მოედანმაც ირგუნა. თურმე ნუ იტყვით, ფეხბურთის მოედნისთვისაც მოუწერიათ ადგილი, მაგრამ შემდეგ ამ საქმისათვის თავი მიუნებებიათ...

მეოთხე სურათზე გამოხატულია საშუალო სკოლის კალათბურთის მოედნის ერთი კუთხე. საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც სპორტული ზაფხულის პერიოდში დაჭირდათ კალათბურთის მოედანზე კირისა და სხვა სამშენებლო მასალის დაყრა?..

საკვალიფიკაციო სურათებია! რა კარგი კი იქნება, თუ ცოტა ხანში ყაზბეგში ფოტოაპარატით ჩასული კაცი ასეთი სურათების გადაღებას ვეღარ შეძლებდეს...

ჯ. ზენაიშვილი

ყაზბეგი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

1:0 თბილისის „დინამო“ ამარცხებს „სპარტაკს“ 25 ქულა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 აგვისტო.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

„სპარტაკი“: მასლაჩენკო, გრიგორიევი, კორნეევი, დიკარევი, ვარლამოვი, ნეტო, პოსუელო, ფალინი (რეინგოლდი), ლოგოფეტი, სევიდოვი, ბუსაინოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე. ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე,. მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).

ლიდერთა ჯგუფში ახლა მეტისმეტი სივიწროვეა. საკმარისია მცირე წაფორხილება და გუნდმა შეიძლება საგრძნობლად გაიუარესოს სატურნირო მდგომარეობა. ამიტომ გუშინდელი მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის უდიდესი მნიშვნელობისა იყო ორივე მეტოქისთვის.

ბრძოლას უაღრესად დაძაბული ხასიათი ჰქონდა. როგორც მოსკოველი, ისე თბილისელი თაყვანმსმცემლები თამაშობდნენ აქტიურად და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. სპარტაკელებმა შეძლეს მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება ტაიმის დასასრულს, მაგრამ „დინამოს“ დაცვა საამედოდ იცავდა კარს — 0:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მნიშვნელოვნად გამოაკეთეს თამაში. მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდათ მეტრეველსა და ბარქაიას.

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თბილისის „დინამოს“, გატანილ იქნა 61-ე წუთზე. ბარქაიამ, იამანიძემ და მეტრეველმა გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც უძლიერესი დარტყმით დააგვირგვინა თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა მეტრეველმა — 1:0. დარჩენილ დროში დინამოელები განაგრძობდნენ აღმავლობით თამაშს და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

* * *

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ — 2:1. გადამწყვეტი გოლი მოსკოველებმა გაიტანეს მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე.





ქალაქი ელოდებოდა — ულამაზესი ყვავილებით

თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, კოხტა სპორტული დარბაზია. იგი „დინამოს“ ეკუთვნის. ამ დარბაზში დიდი სამსახური გაუწევია ქართული სპორტისთვის. წინათ აქ ვარჯიშობდნენ თბილისის „დინამოსა“ და ოფიცერთა სახლის კალათბურთელთა სახელგანთქმული გუნდები, აქ ატარებდნენ საზამთრო წვრთნას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და მძლეოსნები, აქ ტარდებოდა მატჩები და ჩემპიონატებიც კი ფრენბურთში, კალათბურთში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში...

შემდეგ თბილისი ახალი სპორტული ბაზებით დამშვენდა და ბესიკის ქუჩაზე მდებარე დარბაზსაც თანდათანობით ჩამოცილდა „შეთავსებანი“. და როგორ გგონიათ, ეს პატარა ბაზა ფიზკულტურისა და სპორტის დიდ ცხოვრებას გამოაკლდა? სრულებითაც არა! მან კვლავ იპოვა დიდი, კეთილშობილური საქმიანობის ასპარეზი.

დარბაზის ყარი ფართოდ გაიღო საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთათვის. აქ ახლა ორასამდე ადამიანი მეცადინეობს ჯანმრთელობის ჯგუფებში გამოცდილი მეთოდისტების ხელმძღვანელობით (სურათი ქვევით). მათ განკარგულებაშია არა მხოლოდ სპორტული ბაზა, არამედ სათანადო სამედიცინო მომსახურებაც (სურათი ზევით).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რატომ აარიდეს თავი?

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში

ბორჯომის სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის, სამტრედიის, დუშეთის, ზუგდიდის, გურჯაანის, ხაშურისა და სხვა კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მახარაძელები. მომდევნო ადგილებზე არიან აფხაზეთისა და აჭარის გუნდები.

აღსანიშნავია ზოგიერთი სპორტსმენის მაჩვენებელი. მაგალითად, მახარაძელმა თ. მდინარაძემ 100 მ 11,4 წამში გაირბინა; გარდაბნელმა ნ. ევსეევმა პირველობა მოიგო 800, 1.500 და 5.000 მეტრზე რბენაში; გ. მარღანიამ (აფხაზეთი) და გ. ქაძანაიამ (ზუგდიდი) ერთნაირი სიმაღლე—180 სმ დაძლიეს (უპირატესობა მიეკუთვნა მარღანიას). ქალთა შორის კარგად გამოვიდა გეგეჭკორელი ზ. შანგუა, რომლის ნატყორცნი შუბი 42,60 მეტრზე დაეცა, დუშეთის წარმომადგენელმა ლ. ნაზღაიძემ ბადრო ტყორცნა 42,61 მეტრზე...

გაკვირვებას იწვევს სიღნაღის, თელავის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ყვარლის რაიონული საბჭოების გულგრილი დამოკიდებულება ამ საინტერესო და უაღრესად სასარგებლო ღონისძიებისადმი. მათ რატომღაც არ ისურვეს შეჯიბრებაზე გუნდების მოვლინება. ამ ფაქტზე უნდა იმსჯელოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა.

ზ. ჯარაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

„ქ“ ჯერი

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (თბილისი)	19	10	5	4	24—17=+7	25
„ტორპედო“ (მოსკოვი)	17	9	6	2	33—11=+22	24
ცსკა	18	9	6	3	30—13=+17	24
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	9	4	5	23—13=+10	22
„დინამო“ (კიევი)	18	7	8	3	26—17=+9	22
„შახტიორი“ (დონეცკი)	18	7	8	3	22—13=+9	22
სკა (როსტოვი)	17	9	2	6	27—16=+11	20
„დინამო“ (მინსკი)	18	4	11	3	8—7=+1	19
„დინამო“ (მოსკოვი)	17	5	7	5	16—13=+3	17
„ვოლგა“ (გორკი)	19	5	7	7	11—23=—12	17
„ქაირატი“ (ალმა-ატა)	17	4	6	7	15—18=—3	14
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	18	3	8	7	7—20=—13	14
„შინიკი“ (იაროსლავლი)	18	4	6	8	13—28=—15	14
„ნეფტიანიკი“ (ბაკო)	18	4	5	9	11—19=—8	13
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	18	4	5	9	16—25=—9	13
„ტორპედო“ (ქუთაისი)	19	5	3	11	9—28=—19	13
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	17	4	3	10	9—19=—10	11

მასპინძლები — სტუმრები

ირანის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ჩვენს ქვეყანაში. უკანასკნელი მატჩი მან წააგო ოდესის არმიელებთან — 0:1.

ლიბანის „მაზრაააა“ ბოლო მატჩი ჰქონდა ტერნოპოლში ადგილობრივ გუნდთან და შეძლო ფრედ დაემთავრებინა შეხვედრა — 1:1.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით წააგეს ორიოლის „სპარტაკთან“ — 1:5.

საბერძნეთის „პანიონიოსმა“ ერევანში დაამარცხა ადგილობრივი „არარატი“ — 2:1.

ბულგარეთის ქალაქ პერნიკის „მინიორი“ კიშინიოვში შეხვდა „მოლდოვას“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ნინა ა. სუეჯინი

მინსკი, 11 აგვისტო (**დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.**). გაფრინდაშვილმა კარგად გაითამაშა სიცილიური დაცვა ტაშკენტის ჩემპიონთან, ოსტატობის კანდიდატ მუხინთან პარტიაში და ინიციატივას დაეუფლა. მაგრამ რთულ პოზიციაში მოქადრაკე ქალმა არასწორად ითამაშა და დამარცხდა. ეს მოხდა სსრ კავშირის XXXII საქადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის VI ტურში.

სუეტინმა ენერგიული თამაშით მოუგო ბირბრაგერს, ნოსკოვმა — ვალიევს. ბოიარინოვმა პირველი დამარცხება მიაყენა მიკენასს. ყაიმით დამთავრდა ზილბერ — ფეტრუკის შეხვედრა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გურგენიძეს ვორორემაასთან ზედმეტი ხარისხი აქვს.

VI ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ იპყრო დიდოსტატმა სუეტინმა — 5,5 ქულა.

მ. ფიშოვი,
სპორტის ოსტატი.

მსოფლიო პირველობაზე გაემზადნენ

რიგა, 11 აგვისტო (**ჩვენი სპეც. კორ.**). ლატვიის დედაქალაქში დაიწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრება, სადაც ფართოდ არიან წარმოდგენილი მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეები, ერთ-ერთი ეტაპია იმ „საარჩევნო კამპანიისა“, რომლის მიზანია უძლიერესი საბჭოთა ჭაბუკი მოჭადრაკის —მსოფლიო პირველობის მონაწილის გამოვლენა.

ჭაღრაკი

ასპარეზობის მონაწილეებმა, რომელთა შორის არიან საქართველოს წარგზავნილები—ოსტატობის კანდიდატები რ. ჯინჯიხაშვილი და მ. ლევინი, უკვე სამი ტური განვლეს.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოსა და მოსკოვის გუნდები.

პირად ჩათვლაში 2,5-2,5 ქულა დაგროვეს კაპენგუტმა (ბელორუსია), ცეშკოვსკიმ (რსფსრ) და ბანგიევმა (უკრაინა). ჯინჯიხაშვილს 2 ქულა აქვს. პირველ ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ესტონელ პიატერენთან, მეორეში — დაამარცხა ლატვიელი ოსტატი ვიტოლინშა, მესამეში — ყაიმზე შეუთანხმდა ყირგიზელ მამატოვს.

თ. ლომაია,
სპორტის ოსტატი.

ქართველ ეტიუდისტთა წარმატება

მოსკოვში გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი საქადრაკო კომპოზიტორის ა. გალიცკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსის შედეგები.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 206-მა საქადრაკო კომპოზიტორმა, რომლებმაც 600 ამოცანა და ეტიუდი გამოგზავნეს.

ეტიუდების განყოფილებაში (მსაჯი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კოროლკოვი) მაღალი შეფასებები დაიმსახურეს ქართველმა ეტიუდისტებმაც. III საქები შეფასება მიენიჭა ვ. კალანდაძისა და ვ. ნეიძის კოლექტიურ ნაწარმოებს, ხოლო V საქები შეფასება — ოსტატს კომპოზიციაში — გ. ნადარეიშვილს.

მთავარი მეტოქე — ევროპელი ნიჩბოსნები

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა კანოესა და საგაჯიდარო ნიჩბოსნობის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ი. ემელიანოვს მოეთხრო როგორ ემზადებიან საბჭოთა ნიჩბოსნები ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის.



— ამბის მოყოლა 1952 წლით უნდა დავიწყო. მაშინ საბჭოთა ნიჩბოსნები პირველად გამოვიდნენ ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე და ბაიდარებით ხუთეულშიც მოხვდნენ. რაც შეეხება კანოეს, საბჭოთა ნიჩბოსნებს მხოლოდ ყურმოკრული ამბებით იცნობდნენ. მკვეთრად შეიცვალა სურათი XVII თამაშებზე. მაშინ ერთადგილიანი ბაიდარით ანტონინა სერედინამ ოქროს ორი მედალი მოიპოვა, ხოლო ბელორუსელი კანოისტები ლ. გეშტორი და ს. მაკარენკო უძლიერესნი იყვნენ ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში.

რომის თამაშების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ფართო სამზადისი გაიშალა ტოკიოს ბრძოლებისთვის. დამუშავდა სპეციალური ოთხწლიანი საწვრთნელი პროგრამა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნიჩბოსნობის მასობრივ განვითარებას, რის შედეგად კანოეს და საბაიდარო ნიჩბოსნობაში მომეცადინეთა რიცხვმა 50 ათასამდე მიაღწია.

დაწვრილებით არ შევჩერდები მთლიან პროგრამაზე. აღვნიშნავ მხოლოდ ერთს: შეკძელით ძლიერი ოლიმპიური ნაკრები გუნდისა და სპორტულ ბაზოგადოებათა საუკეთესო კოლექტივების შექმნა.

ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენაში დიდი როლი ითამაშა ჩვენი ფედერაციის მიერ გამოცხადებულმა ოლიმპიურმა კონკურსმა: კიევში გამართულ უკანასკნელ შეჯიბრებაზე 139 ნიჩბოსანმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი და ახლა ჩვენი წამყვანი სპორტსმენები ისე ძლიერნი არიან, როგორც არადროს. ისინი საუკეთესო სპორტულ ფორმაში არიან, აქვთ შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები. გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდება ამ დღეებში კიევში დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით.

მაგრამ მაინც, ახლავე შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი სპორტსმენი, რომლებიც ტოკიოში წასვლის დიდ შანსებს ინარჩუნებენ. ეს, პირველ რიგში, ა. სერედინაზე ითქმის. საბჭოთა ნაკრების ვეტერანი, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი შესანიშნავად გრძნობს თავს.

უკანასკნელ შეჯიბრებაზე მაღალი ტექნიკა გამოავლინა 28 წლის ლენინგრადელმა ლიუდმილა ხვედოსიუკმა. დიდ იმედებს ვამყარებთ მის თანამემამული 24 წლის ვალენტინა ბიციუკზეც.

არაერთი ახალი სახელია ვაჟთა ნაკრებში. კერძოდ, 27 წლის ნოვგოროდელი ხარატი ვ. კალუგინი და 25 წლის ნ. ჩუჭიკოვი ლისიჩანსკიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შეძლებენ ოლიმპიურ თამაშებზე.

რა შეიძლება ითქვას კანოისტებზე? ვფიქრობთ, სპორტის მოყვარულები ტოკიოში ვერ იხილავენ ჩვენი განთქმული ნიჩბოსნების ლ. გეშტორისა და ს. მაკარენკოს გამოსვლებს. მართალია, ისინი ტოკიოს სტარტისთვის გულმოდგინედ ემზადებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ შეჯიბრებებზე მოკრძალებულ შედეგებს აჩვენებენ.

ოლიმპიური ოქროს მედლის დასაკუთრების შესაძლებლობა აქვთ მოსკოვის სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტს, 21 წლის ე. პენიაევს, რომელიც ფიზიკურად ძლიერი, ჭკვიანი, შორსმხედველი ტაქტიკოსია, აგრეთვე 27 წლის უკრაინელ ა. ხიმიჩსა და თბილისელ ჯ. ხოშბაევს.

რამდენიმე სიტყვა ინვენტარზე. ჩვენი ნიჩბოსნები, ისე როგორც სხვა მათი დასავლეთელი კოლეგები, ჩვეულებრივ დაპირი ბიდარებით სარგებლობდნენ. მაგრამ ამას წინათ რიგელმა ინჟინრებმა შექმნეს ახალი კონსტრუქციის საბჭოთა ნავი. იგი შეტად მსუბუქი და ცურვის კარგი „უნარის“ მქონეა. ახალმა ინვენტარმა ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ეს ნავები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ოლიმპიური მედლების მოპოვებაში.

კანოები ადრე დანიიდან და დასავლეთ გერმანიიდან შემოგვქონდა. კონსტრუქტორთა ჯგუფმა მ. სტეპანოვის ხელმძღვანელობით 4 წლის უკან შექმნა სამამულო ნავის მოდელი, რომელიც ტექნიკურად ბევრად აღემატება დასავლეთგერმანულ ნიმუშს, აქვს შესანიშნავი ფორმა და თვისებები.

მაგრამ როგორი კარგიც არ უნდა იყოს ნავები, ყველაფერს მაინც ნიჩბოსანთა ოსტატობა გადაწყვეტს. გამოცდილი სპორტსმენი კი ბევრია ყველა ქვეყანაში. თუ საბჭოთა ნიჩბოსნები ოქროს მედლების რეალური პრეტენდენტები არიან გუნდურ ჩათვლაში, შედარებით ძნელია პროგნოზები პირად პირველობაზე. ტოკიოდან მინიმუმ სამი ოქროს მედლის წამოღებას ვვარაუდობთ, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მრისხანე მეტოქენიც, კერძოდ, რუმინელი, გერმანელი და უნგრელი ნიჩბოსნები.



ლესელიძეში წინასაოლიმპიადო წვრთნას გადის ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი. მათ შორისაა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონიც — იური ტიტოვი. მან ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის საშუალებით მისალმება გამოუგზავნა გაზეთ „ლელოს“ მკითხველებს:

„გაზეთ „ლელოს“ პატივცემულო მკითხველებო, საქართველოს სპორტსმენები ყოველთვის იდგნენ მაღალ ოლიმპიურ დონეზე. სასურველია, რომ თქვენ იყოთ არა მარტო მკითხველები, არამედ სპორტის პროპაგანდისტებიც!

ი. ტიტოვი“.

მეგობრული შარჟი რ. გაბრიაძისა.

Уважаемые читатели газеты „Ленинский путь“! Спортсмены Грузии всегда были на высоком Олимпийском уровне. Хотелось, чтобы вы были не только читателями, но и пропагандистами спорта!

გაზეები—საკუთარი ძალებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მრავალრიცხოვან კოლექტივში ბაზების უქონლობის გამო დაბალ დონეზე იდგა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, მოედნების მშენებლობა კი გაუთავებლად ჭიანურდებოდა.

ამას წინათ ქარხნის ახალარჩეულმა ფიზსაბჭომ დარაზმა ახალგაზრდობა, მოაწყო რამდენიმე კვირაობა და აი, უკვე მწყობრში ჩადგა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები... გაიმართა პირველი შეჯიბრებები.

სურათზე: ქარხნის კალათბურთელთა ასპარეზობა.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

„მორტონის“ 135 გურთი

როცა „გლაზგო-რეინჯერსმა“ წელს შოტლანდიის ჩემპიონობა მოიპოვა, ეს არავის გაკვირვებია. ეს ცნობილი საფეხბურთო კლუბი უკვე 32-ჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი. სენსაცია სწორედ მაშინ ხდება, როცა შოტლანდიის პირველობაზე რომელიმე სხვა კლუბი იმარჯვებს ხოლმე.

წელს სულ სხვა ამბავმა მიიპყრო შოტლანდიელ გულშემატკივართა ყურადღება: მეორე ლიგაში გამარჯვებული კლუბის—„მორტონის“ იშვიათმა შედეგიანობამ. ამ გუნდმა 36 თამაშში 135 გოლი გაიტანა და ახლა მიმმხილველთა აზრით პირველ ლიგაში ფავორიტების საშიში მეტოქე იქნება.

შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად მიმდინარე სეზონში აღიარებულია „საუკუნის მატჩის“ მონაწილე, „გლაზგო-რეინჯერსის“ ნახევარმცველი ჯიმ ბექსტერი.

„ბენფიკას“ ახალი მწვრთნელი

მას შემდეგ, რაც ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი—ლისაბონის „ბენფიკა“ თავის ნაცად მწვრთნელს, უნგრელ ბ. გუტმანს შეელია, ამ გუნდის საქმეები სულ უკუღმა წავიდა. ვერც ჩილელმა ფ. რიერამ, ვერც უნგრელმა ლ. შაისლერმა ვერ შეძლეს გუტმანის შეცვლა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე „ბენფიკა“ სერიოზულ მარცხს განიცდის.

ახლა „ბენფიკას“ ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. ესაა ე. შვარცი, რომელიც ადრე ქ. ესენის (გფრ) „როტ-ვაისს“ წვრთნიდა, 1957 წლიდან კი ჰოლანდიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. შვარცი „ბენფიკასგან“ წლიურად 12 ათას დოლარს მიიღებს, მაგრამ მას ძნელი ამოცანის გადაწყვეტა დაევალა—ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის დაბრუნება.

ლოფტჰაუზის მემკვიდრე

კარგა ხნის ძიების შემდეგ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ განაცხადა, რომ მიაგნო ისეთ ცენტრფორვარდს, როგორიც მის გუნდს სჭირდება. ესაა 23 წლის ჭაბუკი ფრედ პიკერინგი.

პიკერინგი წელს დიდი წარმატებით თამაშობდა „ბლეკბერნ როვერსში“. იგი ქ. ბლეკბერნის ერთ-ერთი გიმნაზიის გუნდში აღმოაჩინა მწვრთნელმა ჯ. კერიმ, რომელმაც სხვა 60 ჭაბუკთან ერთად დაიწყო მასთან მეცადინეობა. პიკერინგი 18 წლის ასაკიდან „ბლეკბერნ როვერსის“ შემადგენლობაში გამოდის და საყოველთაო აღიარება წელს მოიპოვა.—ეს ახალი ლოფტჰაუზია, — წერენ ინგლისის გაზეთები. — ახალგაზრდა მოთამაშე შეუდარებელი მებრძოლია, უყოყმანოდ ებმება ძალისმიერ თამაშში, აქვს მაღალი ტექნიკა.

ერერა - II

ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს ამიერიდან სათავეში ჩაუდგება მწვრთნელი ერერა. მაგრამ ეს „ინტერნაციონალეს“ ცნობილი მწვრთნელი—ელენიო ერერა როდი გახლავთ. ამ ერერას ჰერიბერტი ქვია. 1953-59 წლებში ეს პარაგვაელი სპეციალისტი მადრიდის „ატლეტიკოს“ წვრთნიდა (იგი შეცვალა ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდელმა მწვრთნელმა ხ. ვილიალონგამ).

„იუვენტუსი“ იტალიურად „ახალგაზრდობას“ ნიშნავს, მაგრამ წარუმატებელი თამაშის გამო გულშემატკივრები მას „ბებერ ქალბატონს“ ეძახიან. აქ მწვრთნელები „ჩემოდანზე სხედან“. გუნდის პატრონ ს. ანელის (ავტოკონცერნ „ფიატის“ მფლობელი) მოთხოვნით ჰ. ერერამ „იუვენტუსი“ ბოლოს-დაბოლოს ჩიხიდან უნდა გამოიყვანოს.

39 წამზე ნაკლები დრო ამერიკელებზე გამარჯვებისთვის

მარკო კასანი

კორნვეშტეიმში „ლურჯების“ კვარტეტმა 4×100 მ ამანათარბენში აჩვენა 40,3. ეს მოხდა ლომბარდიისა და ადგილობრივ გუნდ „სალამანდერის“ შეხვედრის დროს. ამ სტადიონზე გამართულ ასპარეზობებში გაიზარდა თანამედროვეობის ორი შესანიშნავი სპრინტერი — პ. გამპერი და ა. ხებაუფი. ორივე 24 წლისაა. პირველის პირადი რეკორდია 10,2, მეორისა — 10,3. ამ ქალაქშივე ცხოვრობს ი. ფელსენი, რომელიც იმდენივე ხნისაა, რამდენისაც მისი უფრო სახელგანთქმული ამხანაგები. იგი 100 მეტრს 10,3 წამში გარბის.

შემთხვევითი არ იყო, რომ შეხვედრა ლომბარდია — „სალამანდერი“ შედგა გერმანული სპრინტის სწორედ ამ პატარა დედაქალაქში. ლომბარდიელებმა სარდიმ, პრეატონიმ, ბერუტიმ და ოტოლინამ რბენა დაამთავრეს 40,3 წამში. რა თქმა უნდა, ეს არ არის ყველაზე კარგი დრო, რომელიც შეეძლოთ მათ ეჩვენებინათ, მაგრამ სპორტსმენებმა დაამტკიცეს, რომ მათ შესწევთ უნარი 40 წამზე უკეთესი დრო აჩვენონ (ერთი კვირის შემდეგ იტალიელებმა ეროვნული რეკორდი დაამყარეს — 39,8. მთარგმნელის შენიშვნა).

ჩვენ ვესაუბრეთ გამპერს, რომელსაც გერმანული მძლეოსნობის ახალ არმინ ჰარის უწოდებენ. მან უყოყმანოდ გვიპასუხა შეკითხვებზე.

— ვინ შევა გერმანიის გუნდში ტოკიოში გასამგზავრებლად?

— 12 სპორტსმენს შეუძლია გუნდში შესვლა. მე იმედი მაქვს მათ რიცხვში მოხვედრისა. აგრეთვე ხებაუფსაც შეუძლია ეს გააკეთოს. ძალზე ძლიერები არიან აგრეთვე ენდერლეინი, როდერფელდი, კნიკენბერგი. სათვალავშია ჩასაგდები ფელსენიც.

— ამრიგად, შესაძლოა ამანათრბენში „სალამანდერის“ კლუბის სამი წევრის მონაწილეობა?

— ეს იოლი როდია, მაგრამ შესაძლებელია.

— თქვენ როგორ ემზადებით?

— შესანიშნავად. მხოლოდ ხებაუფმა უნდა დაისვენოს სამი კვირა, მაგრამ იგი სწრაფად აღიდგენს ფორმას.

— როგორ ფიქრობთ, რა დროში გაირბენენ გერმანელები დისტანციას ამანათის გადაცემის ახალი სისტემით?

— ზუსტად 39 წამში!

— ამერიკელები?

— მათ შეუძლიათ 39 წამზე ნაკლები დრო აჩვენონ, მაგრამ ვფიქრობ — ტოკიოში გერმანელთა გუნდზე გამარჯვება ადვილი არ იქნება.

— ამერიკელთა გარდა ვისი გეშინიათ?

— არავისი! თუ ჩვენ ამანათი არ გაგვივარდა ხელიდან და დისკვალიფიცირებული არ ვიქენით, ან გავიმარჯვებთ, ან მეორენი ვიქნებით.

— იტალია?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალია კვლავ გავა ფინალში, მაგრამ იცოდეთ, ამისათვის საჭიროა 39,6 წამის ჩვენება.

— თქვენ ძალიან დარწმუნებული ხართ!

— საკმაოდ. მაგრამ კიდევ უფრო მჯერა ენდერლეინის, როდერფელდისა და ხებაუფისა.

— თქვენის აზრით, რა სხვაობას იძლევა გადაცემის ზონის გადიდება?

— ერთი წამიდან — ერთნახევარ წამამდე, თეორიულად რომში ჩვენი შედეგი 39,5, ასეთი ცვლის დროს 39,1-ს უდრის.

— მაშინ ამერიკელები აჩვენებდნენ 39 წამზე ნაკლებს?

— ვფიქრობ, კი. შესაძლოა, ეს გაეკეთებინათ არა მარტო ამერიკელებს...

— რას იტყვით 100 მეტრზე რბენის შესახებ?

— პროგნოზების გაკეთება ძნელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევე, როგორც რომში, ამერიკელებს ზანგებიანად თუ უომათოდ „იოლი ცხოვრება“ არ ექნებათ.

— ვის თვლით 100 მეტრზე თქვენს მთავარ მეტოქედ?

— ხებაუფს!

გამპერის პასუხებიდან ნათელია, რომ გერმანელებს დიდი იმედები აქვთ არა მარტო ამანათრბენში გამარჯვებისა, როგორც ეს რომში იყო, სადაც მათ დაახლოებით 6 მეტრით გაუსწრეს საბჭოთა მორბენლებს (მაშინ ამერიკელებმა რამდენადმე ადრე დაამთავრეს დისტანცია, მაგრამ დისკვალიფიცირებულ იქნენ).

გერმანელები ჩემპიონის ტიტულის დათმობას არ აპირებენ და ამიტომ ეძებენ თავიანთ 12 სპრინტერს შორის ახალ ჰარის, ანდა 4 ისეთ ჩემპიონს, როგორიც ჰარია. იმ დროს, როდესაც ჩვენ იძულებული ვართ „ბამბაში შვფუთოთო“ ჩვენი ოთხეული, გერმანელები კვირაში სამჯერ ეჯიბრებიან ერთმანეთს და ეჩვევიან მძაფრ სპრინტერულ ბრძოლას წამის მეათედებისთვის. ასეთი გზით მათ მიაღწიეს სტაბილურ შედეგს — 10,3-ს.

ხებაუფი ამბობდა, რომ გერმანიაში სულ ცოტა 10 სპორტსმენი მაინც არის, რომლებიც ოლიმპიურ წელს 100 მეტრზე უჩვენებენ 10,3-ს, ან ნაკლებს. აი, რატომ არ არის ჯერ კიდევ ცნობილი იმ ოთხი სპორტსმენის გვარი, რომლებიც ტოკიოში გამოვლენ. თუ რომელიმე შეძლებს — „ჰაერში გაფრინდეს“, იგი გუნდში მოხვდება.

იტალიაში, სამწუხაროდ, სპრინტერები „უთერი ყვავებია“. ამდენი ოლიმპიადის შემდეგ პირველად, ჩვენ არ შეგვიძლია გარკვეული რამის თქმა. დღეს ჩვენ უნდა გვეშინოდეს განისა და ნიგერიისაც კი! შვიდმა ქვეყანამ ამანათრბენში უკვე გადალახა 40 წამი (აშშ, სსრ კავშირი, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი), ჩვენ კი აგერ უკვე სამი წელია უნუგეშოდ ვიქნევთ მუშტებს.

ჩვენი კვარტეტის ტექნიკური ხელმძღვანელობა არასდროს იყო დარწმუნებული და მხოლოდ ახლა, ჰეპინო რუსოს მოსვლის შემდეგ ჩაგვესახა იმედი. რუსო ძალზე ბეჯითია და უნარი აქვს დაინახოს ყველაფერი კარგი, გადმოიტანოს სხვების სასარგებლო გამოცდილება.

რუსომ დაიწყო მუშაობა და დარწმუნებული ვართ, რომ იგი წარმატებას მიაღწევს. მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, თუ რამდენი დრო დაჭირდება, რათა საქმეები დაალაგოს. ტოკიო კი ახლოა და გამპერი ამბობს: „საჭიროა 39,6 წამი, რათა მოხვდე ფინალში“.

იტალიურიდან თარგმნა მ. ბარამიამ.

ჯეკი ეკვეკი

● კიევი. აქ დამთავრდა საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მიერ გამართული საერთაშორისო ასპარეზობა მძლეოსნობაში. უკრაინის დედაქალაქის სტადიონის სარბენი ბილიკი და სახტომი სექტორი ძალზე „იღბლიანი“ გამოდგა. იმ ბრწყინვალე შედეგების გარდა (ვ. ბრუმელი — 224 სმ; ი. პრესი — 80 მ თარჯრბენი — 10,5 — მსოფლიო რეკორდის გამეორება), რომლებზეც უკვე ვიუწყებოდით, აღსანიშნავია პოლონელი მ. დუდზიაკის მაჩვენებელი 100 მ — 10,2. ს. პროხორენკოს შედეგია 10,3, ხოლო პოლონელი ა. ზელინსკისა — 10,4. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა დინამოელებმა. მეორე ადგილზეა „გვარდია“ (პოლონეთი), მესამეზე — ჩეხოსლოვაკელები.

● მოსკოვი. გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ პრიზზე გამართული მრავალდღიანი ველორბოლა მოიგო აშხაბადელმა გ. ლებედევმა, 785 კმ მან გაიარა 18:28.15,5. II—III ადგილები გაიყვეს გ. საიდხუანმა (ჩელიაბინსკი) და ი. პომინოვმა (ტაშკენტი). მათი შედეგია 18:31.11. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა.

● მოსკოვი. აქ მიმდინარეობს საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ტყვიით სროლაში. მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან შავწრიან სამიზნეს და სილუეტში (ვარჯიში მპ—5) სროლაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა დინამოელი მსროლელი ქალი ნ. რომანენკო (581 ქულა).

● ხარკოვი. წყალში მხტომელთა საკავშირო ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს მოსკოველმა სპორტსმენმა ქალებმა. ტრამპლინიდან ხტომაში მათ დაიკავეს პირველი სამი საპრიზო ადგილი: 1. თ. ფედოსოვა (146,21 ქულა), ვ. ბაკლანოვა (143,23), 3. ე. ანოხინა (142,11).

ჩვენი პოსტი

აპრძალული ფანდი

ეს მოხდა საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამსტერდამში. არგენტინისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრაში 3 პარტია ყაიმით დამთავრდა და ყველაფერს წყვეტდა ნაიდორფ — გლიგორიჩის პარტია. გაცხარებულ ბრძოლაში, როცა ორივე პარტნიორს ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი სვლების მოსაფიქრებლად, ნაიდორფმა თავისი პაიკი დასვა დარტყმის ქვეშ, წამსვე შეშინებულმა წამოიძახა „ახ!“ და ისე გაიქნია ხელი, თითქოს უკანვე უნდოდა წაეღო პაიკი.

გლიგორიჩს დრო აღარა ჰქონდა გაეკეთებინა მეტოქის სვლისა და ეტაპების ანალიზი, ამიტომ დაუყოვნებლივ აიღო არგენტინელის მოულოდნელი საჩუქარი.

ნაიდორფმა საპასუხოდ უმალ გააკეთა სვლა და კმაყოფილი ღიმილით ადგა. ეს იყო მისი თავისებური აკრძალული ფანდი, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა გლიგორიჩი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესაგდური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08309

რედაქტორი მ. კაკაბაძე.